

კომპანიის დასახელება: **შპს დეტრა**
ვაკანსიის დასახელება: **პროექტ მენეჯერი**
განთავსების თარიღი / ბოლო ვადა: **1 ოქტომბერი / 30 ოქტომბერი**
მდებარეობა: **თბილისი, ნუცუბიძის ქ.**
საკონტაქტო ელ. ფოსტა: **hr@detra.ge**
გადაადგილების მოთხოვნა: **დიახ**
გამოსაცდელი ვადა: **3 თვე**
სამუშაო გამოცდილება: **2 წელი**
ენები: **ქართული / Русский / English**

დეტრა ჯგუფის საქმიანობა სრულ საინჟინრო, საპროექტო და საინსტალაციო სპექტრს მოიცავს, ახორციელებს, როგორც პროექტირების სამუშაოებს, ასევე, აგრეგატების მიწოდებას, მონტაჟსა და სისტემების სრული სერვისებით უზრუნველყოფას.

კომპანია თანამშრომლობს მსოფლიოს უმსხვილეს მწარმოებლებთან, შესაბამისად, პრიორიტეტი მხოლოდ ხარისხიანი პროდუქტისა და სერვისის მიწოდებაა.

დეტრა ჯგუფი აცხადებს ვაკანსიას პროექტ მენეჯერის პოზიციაზე:

ძირითადი მოვალეობები:

- * სრული ინფორმაციის მოთხოვნა ახალი პროექტის შესახებ.
- * საიტ ვიზიტის მოხდენა და მობილიზაციის გამოცხადება ხელშეკრულების მიხედვით.
- * სამუშაო-გეგმა გრაფიკის შედგენა შესყიდვების და ტექნიკურ მენეჯერთან ერთად, შედარება თანმიმდევრულ სამუშაოების გრაფიკებთან.
- * სამუშაოს ფინანსური გრაფიკის შედგენა და მუდმივი რეპორტინგი ფინანსურ მენეჯერთან.
- * შესყიდვების გრაფიკის ჩამოყალიბება შესყიდვების მენეჯერთან ერთად და მუდმივი კონტროლი.
- * ტექნიკური პერსონალის მობილიზაცია და საუკეთესოს შერჩევა, ფასისა და ხარისხის მიხედვით.
- * გარემოს დაცვისა და უსაფრთხოების მენეჯერის რეკომენდაციების გათვალისწინებით სამუშაოების დაწყება.
- * შესრულებული სამუშაოს აღრიცხვა ყოველდღიურად და რეპორტინგი გაყიდვების მენეჯერთან.
- * ფორმა ორის მომზადება ყოველკვირეულად ფინანსური დეპარტამენტისთვის.
- * მიღება-ჩაბარების აქტის მომზადება.
- * ტექნიკური ჯგუფების სამუშაო პროცესის კონტროლი (სისუფთავე, ფორმები, ადჰუერვილობა).
- * შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების კონტროლი და ინფორმაციის დროული გაცვლა გაყიდვების მენეჯერთან.
- * ტექნიკოსების ანაზღაურების დაგეგმვა და მუდმივი კონტროლი (ანაზღაურება წინასწარ განსაზღვრული ტარიფით).
- * ხელშეკრულების ყველა პუნქტის კონტროლი.
- * სამუშაოების გეგმა-გრაფიკის მუდმივი კონტროლი.
- * პროექტის ფარგლებში სხვა დავალებების შესრულება, რაც არსებითად დაკავშირებულია პროექტის მენეჯერის ფუნქციებთან.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

უმაღლესი განათლება;
ანალოგიურ სფეროში მუშაობის 2 წლიანი გამოცდილება;
რუსული და ინგლისური ენის სასაუბრო დონეზე ცოდნა;
კომპიუტერული პროგრამების (MS Office) ცოდნა;
მართვის მოწმობა: B კატეგორია.

საჭირო უნარები:

მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა;
სამუშაოს სწორად დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი;
ოპერატიულობა;
დეტალებზე ორიენტირების უნარი.

დაინტერესებულმა პირებმა გამოგვიგზავნეთ CV ელექტრონულ მისამართზე: hr@detra.ge
CV-ს დასახელებაში მიუთითეთ აპლიკანტის სახელი და გვარი.
მეილის სათაურის ველში - ვაკანსიის დასახელება.